საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030135546561618

№ 01-70/მ **03 / აპრილი / 2018 წ.**

დავით სერგეენკოსა და სოფიკო ბელქანიას მივლინების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე და 66-ე მუხლების შესაბამისად, საფრანგეთში, ქალაქ პარიზში, ღვიძლის დაავადებების შემსწავლელი ევროპის ასოციაციის (EASL) ორგანიზებით, დაგეგმილ ღვიძლის საერთაშორისო კონგრესში (პრეზენტაცია C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის მიმდინარეობის შეფასების თაობაზე, ასევე, პირველადი ჯანდაცვის, სტაციონარულ და ზიანის შემცირების დაწესებულებებში C ჰეპატიტის დიაგნოსტირებისა და მკურნალობის სერვისების ინტეგრირების საკითხები. კონგრესის ფარგლებში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების ერთობლივი ორგანიზებით, დაგეგმილია საქართველოსადმი მიძღვნილი სესია C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის თაობაზე) მონაწილეობისა და ესპანეთში, ქალაქ სიტჯესში, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მაღალი დონის რეგიონულ შეხვედრაზე (არაგადამდებ დაავადებებზე რეაგირების საკითხები) დასწრების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2018 წლის 11 აპრილიდან 2018 წლის 18 აპრილის ჩათვლით, საფრანგეთში, ქალაქ პარიზში და ესპანეთში, ქალაქ სიტჯესში, მივლინებულ იქნენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი - **დავით სერგეენკო** და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **სოფიკო ბელქანია.**

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მგზავრობის, სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის (ქ. პარიზი - 4 ღამე, ქ. სიტჯესი - 3 ღამე) გაწეულ ხარჯებს აანაზღაურებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია.

3. დაევალოს ეკონომიკურ დეპარტამენტს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) აანაზღაუროს საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის (ქ. სიტჯესი - 1 ღამე) გაწეული ხარჯები;

ბ) აანაზღაუროს დავით სერგეენკოს სადღეღამისო ნორმის დანამატი.

საფუძველი: საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 29 მარტის № 1/7591 და საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2018 წლის 2 აპრილის N9938 თანხმობები, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, სოფიკო ბელქანიას 2018

წლის 28 მარტის №01-7031 მოხსენებითი ბარათი.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თამილა ბარკალაია